



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №145/12¹
გადაწყვეტილების მიმოხილვა**

ქრისტინე მაისურაძე (სტუდენტი)

1. ფაქტები

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა სხდომა სადაც განიხილებოდა საჩივრის ავტორის მეუღლის გარდაცვალების გამო ერთ-ერთ შპს-სა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმის ბრალეულობის საკითხი. სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს მოსარჩელემ გაიგონა ადვოკატის მიერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ადვოკატთან საუბრისას წარმოთქული შემეგი სიტყვები „ეს მაგარი იაზვა ქალია და თან ძუკნაა მაგარი, მეო თავად ექიმი ვარო, ასეთი ვარ, ისეთი ვარო.... ვერ არის კარგად.“

2. პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიაში მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი, რომელშიც ითხოვდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინარული დევნა ადვოკატის მიმართ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.ბ, 5.გ, 6.1 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

3. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატის მიერ გამოთქმული სიტყვიერი შეურაცხყოფა პროცესუალური მოწინააღმდეგისადმი ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის მოხსენიება შემდეგი სიტყვებით: „ეს მაგარი იაზვა ქალია და თან ძუკნაა მაგარი, მეო თავად ექიმი ვარო, ასეთი ვარ, ისეთი ვარო. ... ვერ არის კარგად“, ითვლება ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვის ფორმად და ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილე პირის უფლებების შელახვად.

ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. სასამართლო სხდომაზე ადვოკატი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, რაც გულისხმობს, რომ სხდომის მიმდინარეობისას ადვოკატი უნდა მოქმედებდეს კანონისა და ეთიკის ნორმების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს არაეთიკური გამონათქვამების გარეშე. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას პროცესუალური მოწინააღმდეგის მიმართ არ უნდა გამოიყენოს შეურაცხმყოფელი განცხადებები. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით შეუძლებელია დადგენილი იყოს ადვოკატის ყოველი კონკრეტული ქცევის წესი, თუმცა, ითვალისწინებს იმ მორალურ-ზნეობრივ კრიტერიუმებსა და საზოგადოებრივ შეფასებას, რაც ტრადიციების წყალობით დამკვიდრებულია საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ადვოკატის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგის მოხსენიება სიტყვებით „ეს მაგარი იაზვა ქალია და თან ძუკნაა მაგარი, მეო თავად ექიმი ვარო, ასეთი ვარ, ისეთი ვარო. ... ვერ არის კარგად“, არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს და არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

4. დასკვნა

¹<https://gba.ge/pdf/5c4849ab976e2.pdf/5c4849ab976e2.pdf>

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულების დარღვევა და ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრა - გაფრთხილება.